საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ალკუნი

ალკუნი

ალკუნი (Alcedo atthis), ფრინველი ყაპყაპისნაირთა რიგისა.

გავრცელებულია ევროპაში, აზიასა და ჩრდ. აფრიკაში. ბინადრობს საქართველოში. ცხოვრობს მდინარეებისა და წყალსატევების ნაპირებზე. ბუდეს იკეთებს სოროში, რ-საც თვითონვე თხრის. ბუდობს აპრ. ბოლოს - მაისში, ზოგჯერ მეორედაც (ივნისში). დებს 4–9 (ჩვეულებრივ 4) კვერცხს, ინკუბაციის ხანგრძლივობა 21 დღ-ღ. იკვებება წყლის მწერებით, პატარ-პატარა თევზებით, ლიფსიტებით. შეფერილია მომწვანოდ. ზურგის მხრიდან მოლურჯო, მუცლის მხრიდან წითური ელფერი დაჰკრავს. აქვს მასიური თავი და გრძელი ნისკარტი.

რ. ჟორდანია